საქართველო
ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 50 23 06/03/2017

არასამთავრობო ორგანიზაციისათვის „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ უბისაში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (სკვერი) აღნაგობის უფლებით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის , 122–ე მუხლის მე-4, მე-5 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის # 669 დადგენილების ,, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების,სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ 22 - ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს აღნაგობის უფლებით, ორი წლის ვადით გადასცეს **არასამთავრობო ორგანიზაციას „ქალები ქვეყნის მომავლისათვის“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ უბისაში მდებარე არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (სკვერი) 700 კვმ. ს/კ 36.03.44.332.**

მუხლი 2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180 -ე მუხლით დადგენილი წესით.

მანანა ბარბაქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე